თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2012 წლის 27 ივლისს სხდომის ოქმი #5

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 30, სტუდენტები – 0, სულ – 31 წევრი.

დღის წესრიგი

1. **მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მისაღები კონტიგენტის კითხვარის დამტკიცების შესახებ**

   (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

2. **აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა)**

   (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

3. **მიმდინარე საკითხები:**

   ა). სრ. პროფ. მ. მარგველაშვილის, ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილის, ასისტ. პროფ. ა. გაბრიჭიძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებასთან დაკავშირებით;

   ბ). თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის #04/01-01 (30.03.2012) ბრძანების შესრულების შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: 2012-2013 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი/

აზრი გამოთქვეს:

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: 1. 2012-2013 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი განსაზღვროს 385–ით, მათ შორის 200 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე, 100 - ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე, 60 - ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე (ინგლისურ ენოვანი), 25 - საერთაშორისო საწარმოთა მართვა.

2. 2012-2013 სასწავლო წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი განსაზღვროს 26–ით, მათ შორის 12 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე, 12 - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე, 2 - ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამაზე.

3. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების დამტკიცება.

მოისმინეს: აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2012 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

დიპლომის წარჩინებით:

1. ავოიანი ალა
2. მელქაძე გივი
3. დოღონაძე ნინო
4. ერგეშიძე ალექსანდრე
5. მექერიშვილი გიორგი
6. ლაგვილავა ლევან

დიპლომი ჩვეულებრივი:

7. კაჭარავა ირაკლი
8. დუშუაშვილი თათული
9. გოგლიჩიძე სალომე
10. ჩიტიძე გოჩა
11. თოდუა გეგა
12. ხატისაშვილი ნინო
13. წიქვაძე ნათია
14. ჯიბუტი დავითი
15. ბლუაშვილი ალექსანდრე
16. ხეთაგური თათია

17. ვახვახიშვილი ნინო
18. მცურავიშვილი ქეთევან
19. სოფრომაძე თამთა
20. გელაშვილი თამთა
21. ტეფნაძე მაცაცო
22. ჯაფიაშვილი სალომე

მოისმინეს: აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა საბჭოს გააცნო უფროსი სპეციალისტის თეონა ჩაჩუას მოხსენებითი ბარათი - ნინო გოგიძე 2011 წლის 25 ნოებრის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი#8-ში ხარისხის მინიჭების სიაში მოხვდა სპეციალობით „მენეჯმენტი“ ნაცვლად „ფინანსებისა“, გაიპარა შეცდომა და ითხოვს შუამდგომლობას შევიდეს ცვლილება რექტორის ბრძანებაში (#2405/01-04, 20.12.2011) და ნინო გოგიძეს განესაზღვროს სპეციალობა ფინანსები ნაცვლად მენეჯმენტისა.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ე. ჩოხელმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება რექტორის ბრძანებაში (#2405/01-04. 20.12.2011) და ნინო გოგიძეს განესაზღვროს სპეციალობა ფინანსები ნაცვლად მენეჯმენტისა.

მოისმინეს: აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. მესხია, სრ. პროფ. ქ. მარშავა, სრ. პროფ. ელენე ხარაბაძე

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს „ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2011-2012 სასწავლო წლის კურსადმთავრებულს და მიეცეს ჩვეულებრივი დიპლომი:

1. კეკელია გიორგი

მოისმინეს: სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს გააცნო საგამოცდო ცენტრის უფროსის ქალბატონი მაია ჩიღვინაძის წერილი ეკონომიკისა და

ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტ ალექსანდრე ბადოიანის მიერ მიმდინარე წლის 6 ივლისს გამოცდის მიმდინარეობის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ. გამოცდის მიმდინარეობის დროს (საგანი: ბიზნესის ადმინისტრირება 2) სტუდენტმა შეიტანა გაყალბებული ბილეთი. დამკვირებელმა შეამჩნია, რომ სტუდენტ ა. ბადოიანს ორი ბილეთი ედო მაგიდაზე - ბილეთი #11 და ბილეთი #3. გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სტუდენტის მიერ შეტანილი ბილეთის საკითხებიც და შრიფტიც განსხვავდებოდა საგამოცდო ცენტრის მიერ დაბეჭდილი ბილეთისაგან.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. მესხიამ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ელენე ხარაბაძემ,

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: სტუდენტ ალექსანდრე ბადოიანს გამოეცხადოს საყვედური თსუ შინაგანაწესისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის ნორმების 35 მუხლის, მე-7 პუნქტის მიხედვით, თსუ ეთიკის კოდექსის 3.4.3-ით სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევის გამო.

მოისმინეს: სრ. პროფ. მ. მარგველაშვილის, ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილის, ასისტ. პროფ. ა. გაბრიჭიძის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებასთან დაკავშირებით.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა აკაკი ხელაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის #4 ოქმის

(21.06.2012) შესაბამისად, სრული პროფ. მ. მარგველაშვილის, ასოც. პროფ. ია ნაცვლიშვილისა და ასისტ. პროფ. ა. გაბრიჭიძის ანგარიში სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების ანგარიში ფაულტეტის საბჭოს წევრებს უნდა დაგზავნოდა ელექტრონული ფოსტით და შესაბამისად, საბჭოს წევრები უნდა გაცნობოდნენ თვითეული პროფესორის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების ანგარიშს.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს შესაბამისი ინფორმაციის გაცნობა.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის #04/01-01 (30.03.2012) ბრძანების შესრულების შესახებ.

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანის #04/01-01 (30.03.2012) ბრძანება, რომელიც ეხება სილაბუსის მიხედვით სავალდებულო ლიტერატურის ქართულ ენოვანი ელექტრონული ვერსიის მიწოდებას ბიბლიოთეკისთვის, შესრულების ვადა იწურება მიმდინარე წლის 13 სექტემბერს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე